სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

01/06/2026

MES 3 26 0000653051

ბრძანება

თბილისი

2026 წლის ქართველოლოგიის კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის N153/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „2026 ქართველოლოგიის კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 9 მარტის N286654 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ზ" ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „რ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N652554, 01/06/2026) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2026 წლის ქართველოლოგიის კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების წარმდგენებმა არაუგვიანეს 2026 წლის 4 ივნისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) მიზნობრივი ანგარიშის (სახაზინო /საბანკო ანგარიში) რეკვიზიტები, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და განხორციელდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნიათ დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის

ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.
3. დაევალოს ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისისა.
4. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

<u>დანართი</u>
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 01 ივნისის N653051 ბრძანებით

2026 წლის ქართველოლოგიის კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში
გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის შიფრი
1	GSDP-26-1361
2	GSDP-26-1810
3	GSDP-26-375
4	GSDP-26-433
5	GSDP-26-490
6	GSDP-26-1452
7	GSDP-26-193
8	GSDP-26-437
9	GSDP-26-671
10	GSDP-26-1915
11	GSDP-26-2004
12	GSDP-26-304
13	GSDP-26-1795
14	GSDP-26-426
15	GSDP-26-1060
16	GSDP-26-1691
17	GSDP-26-548
18	GSDP-26-198
19	GSDP-26-231
20	GSDP-26-364
21	GSDP-26-370
22	GSDP-26-371
23	GSDP-26-2015
24	GSDP-26-348